KA070199817196214

საქართველოს
კულტურისა და ძეგლთა
დაცვის სამინისტრო

Ministry of Culture
and Monument Protection of
Georgia

0105. ქ.თბილისი. სანაპიროს ქ. N4. ტელ:2 -996-377; ფაქსი: (+99532) 2-987-430
4 Sanapiro str. Tbilisi 0105. Georgia. Fax: (+99532) 2-987-430 Phone: 2 -996-377

www.culture.gov.ge E-mail: pr@culture.gov.ge

N02/08-1708

03 / აპრილი / 2014 წ.

თბილისის მერიის სსიპ
„ თბილისის არქიტექტურის
სამსახური“,
ძველი თბილისის სანებართვო
განყოფილების უფროსს,
ბატონ გურამ თავაძეს

N 07-13/449

12.03.2014

მიღებულია
ს.ი.პ-თბილისის მერიის არქიტექტურის
სამსახური
№ 07-13/449
04 04 20 14 წელი
თბილისი 0160, ა.ფაღავას ქ.№7

ბატონო გურამ,

გაცნობებთ სამინისტროს პოზიციას თქვენი წერილით წარმოდგენილი განსახილველი საკითხების შესახებ

<u>მიეცეს დადებითი შეფასება:</u>

1. ქ. თბილისი, ბროსეს ქ.N2, მშენებლობის ნებართვა AR1200517;

2. ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ.N140ბ/დავით აღმაშენებლის გამზ.N140-ის მიმდებარედ მრავალფუნქციური კომპლექსის კორექტირებული პროექტი და მშენებლობის ნებართვა AR1202986;

3. ქ. თბილისი, ხვამლის ქ.N8, სასტუმროს პროექტი და მშენებლობის ნებართვა AR1202568;

4. ქ. თბილისი, პ. უმიკაშვილის ქ.N4ა, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების მომატება AR 1203026;

5. ქ. თბილისი, მდ. მტკვრის სანაპიროსა და დგებუაძის ქუჩის გადაკვეთის მიმდებარედ, ლუდის ქარხნის მხარეს პავილიონის კორექტირებული პროექტი AR1201745;

6. ქ. თბილისი, ისნის ქ. N18 (თქვენი წერილის მიხედვით - ისნის ქ. N10) ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების მომატება AR1203156;

7. ქ. თბილისი, დუშეთის ქ.N24, სასტუმროს ასაშენებლად ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების მომატება AR1203295;

8. ქ. თბილისი, ჩიხი გ. აბესაძე N1/11, N3, N4, N5 მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილებების შეტანა AR 1202161;

9. ქ. თბილისი, ჯამბულის ქ.N10, **ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის დასაპროექტებლად მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დადგენა და კ[1] კოეფიციენტის გაზრდა** AR 1202995 - პროექტირების სტადიაზე გათვალისწინებულ უნდა იქნას ისტორიულ-არქიტექტურულ კვლევაში გამოთქმული რეკომენდაციები;

10. ქ. თბილისი, ბროსეს ქ.N6-ს და N8-ს შორის/ბროსეს ჩიხიN8ა **მრავალფუნქციური კომპლექსის პროექტი და მშენებლობის ნებართვა** AR 1197272 .

აქვე გაცნობებთ, რომ დადებითი შეფასება მიეცა თქვენ მიერ ა.წ. 05 მარტის N07-13/427 წერილით გამოგზავნილ - **ქ.თბილისი, ღამბაშიძის ქ.N3, საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქციის საკითხს** AR1200985.

<u>განმეორებით იქნეს წარმოდგენილი:</u>

1. ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ.N82 (ნაკვეთი 11/20) **საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქციის მიზნით მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დადგენა** AR1202551 - არ არის გათვალისწინებული წინა განხილვის დროს გამოთქმული შენიშვნები;

2. ქ. თბილისი, კონსტიტუციის ქ.N4 **ფასადის რეკონსტრუქცია** AR1202486 - წარმოდგენილი მასალა არ იძლევა სრულფასოვანი განხილვის საშუალებას; არ არის ჩატარებული ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა; შენობის გამორჩეული ღირებულებიდან გამომდინარე, რეკომენდებულია პროექტირების დროს არქიტექტორ-რესტავრატორის მონაწილეობა;

3. ქ. თბილისი, ბროსეს ქუჩასა და მარჯვენა სანაპიროს კუთხეში **სასტუმროს კორექტირებული პროექტი** AR 1202807 - ტერასაზე ლიითონის კონსტრუქციის მოწყობა არ არის მიზანშეწონილი;

4. ქ. თბილისი, ამაღლების ქ.N37, **მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დასაპროექტებლად მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დადგენა და ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების მომატება** AR 1203324 - არ არის გათვალისწინებული წინა განხილვის დროს გამოთქმული შენიშვნები.

<u>უარი ეთქვას:</u>

1. ქ. თბილისი, მარტყოფის ქ.N3, **ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების მომატება** AR1202962;

2. ქ. თბილისი, ჭონქაძის ქ.N23, **მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი** AR1203001;

3. ქ. თბილისი, ასათიანის ქ.N35, ჯაფარიძის ქ.N22, **არსებული ნაგებობის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის მიზნით მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დადგენას** AR 1201849. (ასევე, იხ. წერილი N07-13/427, 05.03.2014. ქ. თბილისი, ასათიანის ქ. N35, ჯაფარიძის ქ. N22-ში მდებარე შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის მიზნით მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დადგენას (განაცხადი - AR1200114).

პატივისცემით,

მინისტრის პირველი მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი ალექსანდრე მარგიშვილი

ქალაქ თბილისის მერია

2397495
12/14136902-25
12.06.2014

ირაკლი აბაშიძე (01031003397),
თბილისი ი.აბაშიძის ქ 20

თქვენი განცხადების (#12/14136902-25 16.05.14) პასუხად გაცნობებთ, რომ შენობის საძირკველიდან დიდი მერქნიანი მცენარეების მინიმალური მანძილის განსაზღვრა აღემატება სამსახურის კომპეტენციას. ამდენად, შენობა უნდა აშენდეს ისე, რომ არ დაირღვეს მცენარის სასიცოცხლო ფუნქციები.

დაზიანების შემთხვევაში გატარდება კანონის შესაბამისი ზომები.

თბილისის მერია / ქ. თბილისის მერიის
ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური
ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურის უფროსი გიორგი ქორქაშვილი

ქ. თბილისის მერიის
საჯარო სამართლის იურიდიული პირი


თბილისის არქიტექტურის სამსახური

23.03.09.

სამსახურის უფროსი მ. ავალიანი

—— ———— 2009 წელი

სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები



ეგზემპლარი № 221

27.03.09.

205270053

1

თბილისი 2009 წ.

საპროექტო მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები №	განმცხადებელი: შ.პ.ს. "ჯი-დი დეველოპმენტი" საპროექტო ობიექტი: საოფისე შენობა. ობიექტის/ნაკვეთის მისამართი/მდებარეობა: ქ. თბილისი, დიდუბე-ჭურწარიის რაიონი, გივი გერასიმოვის (ყოფ. ხვამლის) ქ. №8 (ნაკ. №1/8)

შემადგენლობა:

1. თავფურცელი;
2. ქალაქმშენებლობითი პირობები;
4. დამკვეთის (მენაშენის) განცხადება;
5. მიწის ნაკვეთის საკუთრების (სარგებლობის) უფლების დამადასტურებელი საბუთი;
6. მიწის ნაკვეთის მდებარეობა საქალაქო ქსელების მიხედვით; (ამონაწერი);
7. სიტუაციური გეგმა მ 1:2000;
8. ტოპოგრაფიული გეგმა მ 1:500;
9. ბარემის ამსახველი ფოტო-მასალა;
10. თვალსაჩინო ადგილას საინფორმაციო დაფის განთავსების ფოტო-სურათები;
11. არქიტექტურული პროექტის შემთანხმებისათვის წარმოსადგენი მასალის ნუსხა.

შემსრულებელი:	ნ. ადვაძე	2009 წლის 03 23	გვ. №1

საპროექტო მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები №	განმცხადებელი: შ.პ.ს. "ჯი-დი დეველოპმენტი" საპროექტო ობიექტი: საოფისე შენობა. ობიექტის/ნაკვეთის მისამართი/მდებარეობა: ქ. თბილისი, დიდუბე-ჭურწარიის რაიონი, გივი გერასიმოვის (ყოფ. ხვამლის) ქ. №8 (ნაკ. №1/8)

საპროექტო მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების გაცემის საფუძველი

საპროექტო მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები გაცემულია "არქიტექტურული საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტისა, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 8 ივლისის №1-1/1254 ბრძანების „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" და საქართველოს მთავრობის 2008 წლის 12 აგვისტოს №176 დადგენილება "ქალაქმშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 ნოემბრის №140 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

- განაცხადის ნომერი: № 12/10271-13
- მიწის სარგებლობის დამადასტურებელი საბუთი: № 01.13.08.001.008
  (სანოტარო რეგ. სანოტარო გეგმა)
  მისამართი: ქ. თბილისი, დიდუბე-ჭურწარიის რაიონი, ხვამლის ქ. №8 (ნაკ. №1/8)
- ფუნქცია: საოფისე შენობა
- სხვა დამატებითი დოკუმენტი: 1) ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა;
  2) საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს და ქ. თბილისის მერიის სსმ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის გაერთიანებული საგანძეო-მეთოდური საბჭოს 19.02.09 წლის სხდომის ოქმი №8;
  3) საპროექტო მოცულობის შესწორი ვარიანტი.

ქალაქმშენებლობითი პარამეტრების განსაზღვრა

მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარების ფუნქციური ზონა:

საზოგადოებრივი საქმიანი ზონა 2 (სსზ2)

(„დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებები" – მუხლი 12)

- მიწის ნაკვეთის ზედაპირი: 515 მ²
- მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი: ქ-1 — 0.7
- მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი: ქ-2 — 3.0-დან 4.0-მდე
- მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი: ქ-3 — 0.1
- მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარების დოკუმენტში ფუნქციური სახეობა: მაღალი ინტენსივობის საზოგადოებრივი-საქმიანი ზონა. სადაც დოკუმენტში სახეობას შეესაბამება საზოგადოებრივი დანიშნულების სახლები.
- განაშენიანების რეგულირების ხაზი: დაცული იქნეს საქალაქო რეკვიზიტი დატანილი განაშენიანების რეგულირების ხაზი.

შპს „ნ. ადვაძის არქიტექტურული სტუდია" 204270053

შენობების დეპარტამენტის შეთანხმების მოსანიშნებლად შემსრულებელი: /ნ. მურღულია/

შემსრულებელი:	ნ. ადვაძე	2009 წლის 03 23	გვ. №2

საქართველოს მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები №	განმცხადებელი:	შ.პ.ს. "ჯი-დი დეველოპმენტი"
	საპროექტო ობიექტი:	საოფისე შენობა.
	ობიექტის/ნაკვეთის მისამართი/მდებარეობა	ქ. თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, გენერალ კვინიტაძის (ზღვ. ხვამლის) ქ. №8 (ნაკვ. №1/8)

მოთხოვნები მიწის ნაკვეთის (შენარჩუნებული ობიექტის) სამშენებლო განვითარებაზე

1	შენობა-ნაგებობების განთავსება მიწის ნაკვეთზე, მოვლების ხაზი და სხვა ფაქტორების გათვალისწინება. მომსახურე შენობები	- შენობა-ნაგებობა განთავსდეს საქალაქთარო რუკით დადგენილ საზღვრების ფარგლებში „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითად დებულებებს"- შესწ. 26-ის მიხედვით; - შეზღუდულ იქნეს მიწის ნაკვეთის მეზობლის არსებული შენობების ტექნიკური მდგომარეობა და საჭიროების შემთხვევაში დაეშენებულ იქნეს გამი გამაგრების პროექტი.
2	შენობის I სართულის და მიწისქვეშა სივრცის გამოყენება	- შენობა-ნაგებობის მიწისქვეშა სივრცე ათვისებულ იქნეს ავტოფარეხებით.
3	მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობების დანგრევა და გატანა ან გამი სივრცით-გეგმარებითი წყობის შეცვლა	- შესაბამისი პროექტის გათვალისწინებით ნატარდეს არსებული შენობის დემონტაჟი და ტერიტორიიდან გატანა.
4	მოთხოვნები იმ ზიზიკური და იურიდიული პირების უფლებების დაცვაზე, რომელთა ინტერესებსაც შეხება შეუნებლობა	- დაცულ იქნეს მიწის ნაკვეთის საზღვარზე (მეზობლის) საერთო წესებია და ნორმების მოთხოვნები; - მშენებლობის ნებართვის გაცემის დროს წარმოდგენილ უნდა იქნას საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა(ამონაწერი საჯარო რეესტრიდან) და თანამფლობელის შეთხოვნაში შესაბამისი წერილით დამოწმებული თანხმობა)
5	ხიდა და გარე კეთილმოწყობა, მწვანე ნარგავების შენარჩუნებისა, გარემოს დაცვითი და სხვა პირობები	არქიტექტურულ პროექტში გათვალისწინებული იქნეს: - დეკორატიული ხე ნარგავების გამოყენების დაეშენების ტერიტორიის დენდროგრაფიტი; - შენობა განთავსდეს ხე ნარგავებისგან თავისუფალ ტერიტორიაზე; - წასაღების მოზაიკრიტებელი მასალისა და წვრილ, გაღახერვის მასალისა და წვრილ მოდიფიკაციის; - წანგრების, წრაფენების და კარის სპეციფიკაცია; - დამცავი საშუალებების (წალენებისა და მანიშნებლის) ერთიანი გადაწყვეტა მიწაზე შენობის ინტერიერის (ხიდა სივრცეში) მიხედვა; - გათვალისწინებულ იქნეს გარემოსდაცვითი და სანიტარული კანონმდებლობის მოთხოვნები; -გამოყენებულ იქნეს ტერიტორია ნაგვის ყუთის განსათავსებლად. - ინვალიდთა პანდუსების ლიფტებამდე გადაადგილებისთვის პანდუსის მოწყობა.

პროექტის შეთანხმება, მშენებლობის ნებართვის მიღება

პროექტის შეთანხმებისათვის დაბეჭდილ-მენაშენე გადმოცემულია ტექნიკურ შენებლობაში წარმოსადგენად ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.ა. თბილისის არქიტექტურის სამსახურში (მისამართი: შარტავას ქ. №7)

მშენებლობის ნებართვა გაიცეს "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №140 დადგენილების შესაბამისად

მშენებლობის ნებართვის გაცემის წინადადებარე საშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები ძალაშია მისი გაცემის თარიღიდან ხუთი წლის განმავლობაში.

ძალაშენებლობითი პირობები შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მისამართი: შარტავას ქ. №7)

შრომანული დაგეგმარების დეპარტამენტის
საშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების
პირობების მომზადების განყოფილების უფროსი- /ნ. გვენცაძე/

შემსრულებელი:	ნ. ადვაძე	2009 წლის 03 23	ს/ს. №23

ქ. თბილისის არქიტექტურის უფროსს
ბ-ნ. მ. ავალიანს


შპს "ჯი-დი დეველოპმენტის"
დირექტორის
გ. დარჩიაშვილის


ისპრინ ჩარჩოვან 4. ნ37
8-99-91-58-35

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გთხოვთ, მოგვცეთ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები ჩვენს მფლობელობაში არსებულ ტერიტორიაზე (გენერალ კვინიტაძის ქ№8) საოფისე შენობის პროექტირებისათვის.

პატივისცემით
გ. დარჩიაშვილი






საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო რუკა

განცხადების რეგისტრაციის ნომერი: 27715/დ

თბილისის სარეგისტრაციო სამსახური

მომზადების თარიღი 21.04.08



www.napr.gov.ge

ც ნ ო ბ ა

საჯარო განცხადებისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ

ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახური

(ადმინისტრაციული აქტის გამცემი უწყების დასახელება)

18.02.09წ. №12/10271-13 განცხადების საფუძველზე მიმდინარეობს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების გაცემის თაობაზე

შარტავას ქ. №7. III სართული

(ადმინისტრაციული აქტის გამცემი უწყების მისამართი, ოთახის №, ტელეფონი)

ადმინისტრაციული აქტის მაძიებელი: შპს "ჯი-დი დეველოპმენტის" დირექ. გ. დარჩიაშვილი
მცხ: სიმონ ჩიქოვანის ქ. №37

(სახელი ან სახელწოდება; მისამართი)

ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, ხვამლის ქ. №8 (ნაკვ. I/8)-ზე საოფისე შენობის მშენებლობისთვის არქიტექტურული პროექტის დასამუშავებლად სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დადგენას.

(მისამართი, სადაც იგეგმება მშენებლობა; ასაშენებელი ობიექტის დასახელება)

ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია წარმოადგინოს საკუთარი მოსაზრება წერილობითი ფორმით ამ ცნობის გამოქვეყნების დღიდან 10 დღის ვადაში ან დაესწროს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ზეპირი მოსმენის სხდომას 2009 წლის _____ _____ _____ სთ-ზე. (მის: შარტავას ქ. №7, III სართ.)

წერილობითი მოსაზრების წარმდგენს უფლება აქვს არ დაასახელოს თავისი ვინაობა (დარჩეს ანონიმურად).

პასუხისმგებელი პირი - _____ მ. ავალიანი

(სახელი, გვარი)

„_____“ _____ 2009წ.

.თბილისის მერიის ს.ს.ი.პ.
თბილისის არქიტექტურის სამსახური

ოქმი № ო - 234

ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, ხვამლის ქ. №8-ში (ნაკვ. №1/8)-ზე საოფისე შენობის მშენებლობისთვის არქიტექტურული პროექტის დასამუშავებლად სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების გაცემის თაობაზე ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ზეპირი მოსმენის სხდომა.

ქ.თბილისი 18.03.09 წ.

14 : 00 სთ

სხდომის თავმჯდომარე: ნ. გვენცაძე

სხდომის მდივანი: ნ. ადვაძე

სხდომის წევრი: გ. ქემხაშვილი

დაინტერესებული მხარე: შპს"ჯი-დი დეველოპმენტი"-ს დირექტორი გ. დარჩიაშვილი

18.02.09 წლის №12/10271-13 განცხადების საფუძველზე დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება.

ზეპირი მოსმენის საგანი: სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები.

მხარეთა პოზიციები :

სხდომის თავჯდომარე: მომზადდეს მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები კანონით განსაზღვრულ ვადაში.

დაინტერესებული მხარე: (არ გამოცხადდა)

გადაწყვეტილება:

სხდომის თავმჯდომარე: ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, ხვამლის ქ. №8-ში (ნაკვ. №1/8)-ზე საოფისე შენობის მშენებლობისთვის გამოიცეს ადმინისტრაციული აქტი სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის პირობების გაცემის შესახებ.

სხდომის თავჯდომარე;

სხდომის მდივანი:

სხდომის წევრი:

გენერალ კვინიტაძის (ყოფილი ხვამლის) ქ. №8-ში მდებარე შენობისა და მიმდებარე განაშენიანების ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა




თბილისი 2008

ჩვენს მიერ საკვლევი შენობა მოქცეულია ქ. თბილისის განაშენიანების რეგულირების ზონის საზღვრებში, მის განაპირა ნაწილში, მოკლე ქუჩის დასაწყისში, რომელიც თამარ მეფის გამზირს უკავშირებს მდინარე მტკვრის სანაპიროს.

მოცემული ქუჩა, რომელიც მე-20 საუკუნის დასაწყისში წარმოიქმნა და თავდაპირველად ხვამლის ქუჩა ეწოდებოდა, ამჟამად გენერალ კვინიტაძის სახელობისაა. თავდაპირველი განაშენიანებიდან დარჩენილია რამდენიმე საცხოვრებელი სახლი. ქუჩას მხოლოდ ერთი მხარე აქვს და ებმის აღმაშენებლის გამზირთან გადაკვეთაზე მდგომი „პროკრედიტბანკის“, მშენებარე კორპუსისა და „დანიური სახლის“ თანამედროვე შენობათა რიგს




საინტერესოა თვალი გავადევნოთ ტერიტორიის ურბანული გარემოს ისტორიულ განვითარებას საარქივო მასალაზე დაყრდნობით. 1844 წლის რუკაზე, როდესაც ქალაქი სამ ძირითად ნაწილად არის დაყოფილი (გარეთუბანი, ძველი ქალაქი და ავლაბარი), იგი აღნიშნული არ არის, ვინაიდან ამ დროს არ შედის ქალაქის შემადგენლობაში



თბილისის გეგმა, 1844 წელი, ფრაგმენტი

ამასთან, ცნობილია რომ ჯერ კიდევ 1818 წლიდან სოფელ კუკიის მიმდებარედ ვიუტენბერგელი გერმანელი კოლონისტები დასახლდნენ და ამ ადგილს რუსეთის იმპერატორის პატივსაცემად ალექსანდერდორფი ეწოდა. ეს იყო უხვად გამწვანებული ტერიტორია, ბაღებითა და მცენარეებით გაშენებული. ამრიგად, არსებობდა თბილისის კოლონია დასახლებული გერმანელებით, რომლის განვითარებითაც, შემდგომ წლებში, ქალაქის ჩრდილოეთის მიმართულებით, დღეს ჩვენთვის საინტერესო შენობათა კვარტალი უკვე ქალაქის შემადგენლობაში მოექცა და უკვე 1867 წლის გეგმაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ ქუჩათა ძირითადი ქსელიც თითქმის უკვე ჩამოყალიბდა იმ სახით, როგორითაც დღემდე მოვიდა, მხოლოდ სახელწოდებებია შეცვლილი. აქვე უნდა ითქვას, რომ აღნიშნული კოლონიის ფარგლებში განვითარდა დღევანდელი აღმაშენებლის გამზირიც, რომელსაც თავდაპირველად მიხეილის პროსპექტი ერქვა.* ამ დროს ჯერ არ არსებობდა ხვამლის ქუჩა, მის ადგილზე ცარიელი ტერიტორია იყო, უკან კი პარალელურად, შენობა იდგა, რომელიც მიდგმული იყო ან გაერთიანებული, აღმაშენებლის პროსპექტის კუთხის მოზრდილი მონაკვეთის მომცველი არასწორი რუსული ასო პ-სებრი გეგმარების მქონე თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორიის კომპლექსთან მიკუთვნებული შენობის მოგრძო ფლიგელთან. ამავე რუკაზე დატანილია ობსერვატორიის მთავარი შენობაც, ჯვრისებრი გეგმით, რომლის ხის კოშკურა ნაგებობაც შემდგომ აგურის ახალი მოცულობით შეიცვალა და რომელიც დღესაც არის განთავსებული ხვამლის ქუჩის უკან (იხ. თანდართული სააღრიცხვო ბარათი). ასევე, ამავე რუკაზე დატანილია იუნკერთა სკოლის შენობაც, დღევანდელი აღმაშენებლის №148. მიხეილის პროსპექტის მოპირდაპირე მხარე კი მწვანე ბაღებითაა დაფარული, განაშენიანება მას ჯერ არ შეჰხებია



თბილისის გეგმა, 1867 წელი, ფრაგმენტი

*** ალექსანდერდორფი სოფ. კუკიასთან ერთად, 1824 წელს ოფიციალურად შეუერთდა ქალაქს. XIX 30-იანი წლებიდან აქ არსებულმა გზამ თანდათან ქუჩის სახე მიიღო, თუმცა დასახლება ჯერ კიდევ სოფლის იერს ატარებდა. 50-იანი წლებიდან უკვე ქალაქური განაშენიანება დაიწყო და ძველი სიმწვანისგან ჩვენამდე ფრაგმენტებიღა შემორჩა.**

1898 წელს აღნიშნული ტერიტორია ადმინისტრაციულად X საპოლიციო ნაწილის შემადგენლობაშია, კვლავ აღნიშნულია თბილისის მეტეოროლოგიური ობსერვატორიის შენობა, №228. ამასთან, გაიკვალა მომავალი ხვამლის ქუჩაც. ტერიტორიის მიმდებარედ და მოპირდაპირე მხარეს აღნიშნულია სხვადასხვა სახის სამხედრო დაწესებულებები №№ 229, 230, 225 თუ 227 – იუნკერთა სკოლა და ა.შ. ამრიგად, XIX საუკუნის მიწურულისთვის ტერიტორია სხვადასხვა სახის შენობებით არის შევსებული



თბილისის გეგმა, 1898 წელი, ფრაგმენტი

ანალოგიური სურათია ახალი საუკუნის დასაწყისშიც, 1902 წელს – ხვამლის ქუჩა მკაფიოდ არის გამოხატული და მიხეილის პროსპექტიდან უშუალოდ მდინარე მტკვრისკენ ჩადის. ობსერვატორიის კომპლექსი ორი შენობისგან შედგება. უცვლელად არის ასევე, სხვა შენობებიც



თბილისის გეგმა, 1902 წელი, ფრაგმენტი

1907 წლისთვის სურათი პრაქტიკულად უცვლელია, მხოლოდ არ არის დატანილი ობსერვატორიის ჯვრისებრი გეგმის მქონე შენობა, რომელსაც, როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდან ვიგებთ, ამ დროს საფუძვლიანი რეკონსტრუქცია ჩაუტარდა. ამავე დროს, ხვამლის ქუჩის დასაწყისიც უკვე განაშენიანებულია



თბილისის გეგმა, 1907 წელი, ფრაგმენტი

1913 წლის რუკაზე, კუკიისა და დიდუბის უბნებს შორის საზღვარზე მდებარე ამ უბანში, იგივე სურათია



თბილისის გეგმა, 1913 წელი, ფრაგმენტი

1924 წლიდან, ახალი საბჭოთა ეპოქის შესაბამისად, გაჩნდა ქუჩათა ახალი სახელწოდებები: პლეხანოვი, კლარა ცეტკინი, ძველი სახელები შეინარჩუნეს ბაქოსა და ბორჯომის ქუჩებმა. ამავე ქუჩებს შორის გაკვალულია ახალი მოკლე ქუჩა, რომელიც ვაგზლის ქუჩის გაგრძელებად იქცა და რომელსაც დღეს თამარ

მეფის გამზირი ჰქვია. ამასთან, ხვამლის ქუჩის სახელი რუკაზე დატანილი ჯერ კიდევ არ არის



თბილისის გეგმა, 1924 წელი, ფრაგმენტი

შემდგომ პერიოდში, ქალაქი კვლავ გაიზარდა, კეთილმოეწყო მდინარე მტკვრის სანაპიროები და ხვამლის ქუჩაც მარცხენა სანაპიროს გასწვრივ გაგრძელდა. 1935 წელს ქუჩის თითქმის პარალელურად მის მარცხენა მხარეს, გაიხსნა ჩელუსკინელების ხიდი (დღევანდელი თამარ მეფის ხიდი), რომელიც ყოფილ ვაგზლის ქუჩას შეერწყა და გაჩნდა გრძივად განვითარებული ქალაქის ერთ-ერთი მძლავრი განივი მაგისტრალი, ხვამლის ქუჩა კი სატრანსპორტო მოძრაობის ერთ-ერთი აქტიურ მონაკვეთად იქცა.

ამრიგად, როგორც დავინახეთ, უბნის განაშენიანება დროთა განმავლობაში თანდათან იზრდებოდა, ნაწილობრივ იცვლებოდა არქიტექტურულ-გეგმარებითი სტრუქტურაც, ძველ შენობებს თანდათანობით ახალი ნაგებობები ენაცვლებოდა, და საბოლოოდ, კვარტალი ჩვენამდე XX ს-ის დასაწყისში ჩამოყალიბებული სახით მოვიდა. რაც შეეხება კონკრეტულად დღეს ჩვენთვის საინტერესო ნაგებობას, იგი ძველ ფუძეზე აგებულ შედარებით გვიანდელ სახლს უნდა წარმოადგენდეს და ერთი შეხედვით, №10-ში განთავსებული საცხოვრებელი სახლის მიშენებადაც კი შეიძლება იქნეს აღქმული,

ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლი შეულესავი აგურის სადა ფასადით გამოდის ქუჩის მხარეს, რომელსაც ოთხი მსუბუქადშებრტყელებულთაღოვანი ფორმის ფანჯარა რიტმულად ანაწევრებს. ფასადის ნაპირებში დაბალი პილასტრებია, მათთან ერთად, საფასადო სიბრტყის მწირ გაფორმებას შეადგენს ასევე, ფანჯრების ქვემოთ აგურის დეკორატიული წყობით გამოყვანილი ერთგვარი ჰორიზონტალები აქეთ-იქით სამკუთხა ელემენტებით





შენობაში შესვლა შესაძლებალია ეზოს გავლით, რომელიც მოზრდილი ზომებისაა და ორიენტირებულია ქუჩისკენ, და რომლისგანაც, ამავე დროს, გამოყოფილია გრძელი ღობე-ზღუდით. ფასადის უშუალო გაგრძელებაზე მარჯვენა ნაწილში, აგურით ამოყვანილი კედელია, რომელშიც შესასვლელი კარი და ჭიშკარია ჩადგმული. ზღუდეს აგრძელებს ხის ღობე, „დანიური სახლის“ შენობამდე. ეს აგურის კედელიც და ხის ღობეც გვიანდელია. აღსანიშნავია, რომ ამჟამად ჩვენთვის საინტერესო სახლი, რომელიც XX საუკუნის I ნახევარში იყო აგებული როგორც საცხოვრებელი, ამავე საუკუნის ბოლოს რესტორნად იქნა ადაპტირებული. რესტორნის განთავსების დროსვე სახლის ეზოში მოეწყო ღია ფარდულები – მარტივი სახის, აგურითა და ხით აგებული ერთსართულიანი მოცულობები, აგრეთვე შესასვლელთან არსებული „ჭა“. გვიანდელია სახლის ეზოსკენ გამომავალი აივანიც



ამასთან, ავთენტიკურია შენობის ინტერიერი მსუბუქადშებრტყელებულთაღოვანი ფორმის ღიობებით. აღსანიშნავია, რომ სახლს აქვს სამი თაღოვანი ღიობით დანაწევრებული სარდაფი, რომელიც ახლა ნახევრად მიწით არის სავსე, მაგრამ ჩანს ქვითა და ძველი აგურით ამოყვანილი კედელი, ამიტომ შენობის დემონტაჟისა და ახალი მშენებლობის პროცესში, აუცილებელი იქნება არქეოლოგიური ზედამხედველობა და არსებული ძველი სარდაფის შესწავლა





მთლიანობაში არქიტექტურულ-მხატვრული თვალსაზრისით, სახლი ნაკლებადმნიშვნელოვანია და დასაშვებია მისი ახალი მოცულობით ჩანაცვლება.

სახლის მარცხნივ განთავსებულ ქუჩისპირა შენობათაგან კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით, ყურადღებას იმსახურებს სახლი №10 და №14. რაც შეეხება №12-ს, იგი აგრეთვე ქუჩის განაშენიანების დროინდელია, მაგრამ მოგვიანებით შელესილი ფასადით და დაშენებით შეცვლილი და სახედაკარგული. სახლი №8-ის უკან, უშუალოდ ეზოს მარცხენა ნაწილის მიჯნაზე კიდევ ერთი შენობაა გვიანდელი, სრულიად უსახური, ბლოკითა და აგურით აგებული 3-სართულიანი საცხოვრებელი სახლი. იგი სახლის ეზოს მარცხენა ნაწილს ემიჯნება.

კვინიტაძის ქუჩაზე სახლი №10, XX საუკუნის დასწყისშია აგებული და თავისი დროის ნიშნებს შეიცავს – მათ რიგს განეკუთვნება მთავარი ფასადის სიმეტრიული კომპოზიცია, რიზალიტით აქცენტირებული ცენტრალური ნაწილით, აგურის დეკორატიული წყობით გამოყვანილი გაფორმება, ნახევრწრიული თუ სამცენტრიანი თაღოვანი ფორმის ღიობები, მოდერნის სტილის შენობებისათვის დამახასიათებელი მრავალნაწილიანი ალათები, რომლებიც უცვლელად შემორჩა მეორე სართულის მარცხენა ოთხ ფანჯარაში. ასევე, შესასვლელის ფრამუგა სხივისებურად გაშლილი ხის ალათებით, როგორიც გავრცელებული იყო XX საუკუნის დასაწყისის თბილისურ სახლებში, სხმული მოზაიკური კიბეები სადარბაზოში და მისიქვისგან გამოთლილი მოაჯირები





ასევე, საცხოვრებელი სახლი №14 ცენტრალური რიზალიტითა და აგურის დეკორატიული წყობით ღიობების გარშემო, ლითონის ჭვირულმოაჯირებიანი დაკიდებული აივნებით, ხის ორფრთიანი სადარბაზო კარითა და სადარბაზოს ლითონისმოაჯირიანი და მოზაიკურკიბიანი ინტერიერით, შუშაბანდებიანი ეზოსპირა ფასადით – XX საუკუნის დასაწყისის შენობას წარმოადგენს





მთლიანობაში, ორივე ზემოაღწერილი საცხოვრებელი სახლი შესაძლოა არ განეკუთვნება მაღალმხატვრულ არქიტექტურულ ნაწარმოებთა რიცხვს, თუმცა ქალაქის ისტორიული ნაწილის ამ განაპირა რაიონში, გარკვეულ სახასიათო ელემენტებად არიან შემორჩენილი და ამდენად, ქუჩის განაშენიანებაში ახალი სამშენებლო ჩარევის დროს, ანგარიშგასაწევია მათი იერსახის შენარჩუნება.

რაც შეეხება ჩვენთვის საინტერესო შენობის მარჯვენა მხარეს განვითარებულ ურბანულ გარემოს, იგი მთლიანად გვიანდელია და კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით, ინტერესმოკლებული. ისევე როგორც, ხვამლის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, სანაპიროზე მდგომი შინაგან საქმეთა სამინისტროსა თუ სიღრმეში განთავსებული მრავალფუნქციური შენობის მაღლივი კორპუსები.

აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, კერძოდ, ის რომ აღმაშენებლის გამზ. №150-ით აღრიცხული თბილისის ობსერვატორიის შენობა და მისი შემადგენელი სხვადასხვა სახის ნაგებობები განთავსებული ხვამლის ქუჩის უკანა ნაწილში, კანონის მიერ დამცავი ზონებით არის გარემოცული – ვინაიდან აღნიშნულ შენობას სახელმწიფოს მიერ მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი, მას ავტომატურად შემოფარგლავს დაცვის საზღვრები. ობსერვატორიის შენობის, როგორც კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის ინდივიდუალური დაცვის ზონა, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, განისაზღვრება 50 მეტრით, ხოლო ვიზუალური აღქმის არეალი კი 150 მეტრის რადიუსით, რაც ძეგლის დაუზიანებლობასა და ფიზიკურ დაცვასთან ერთად, გულისხმობს, რომ უზრუნველყოფილი უნდა იყოს ძეგლის აღქმის ხელშეუხებლობაც და აღნიშნულ ფარგლებში არ შეიძლება განთავსდეს ისეთი შენობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის ძეგლის სრულფასოვან ხედს ან შეამცირებს მის მნიშვნელობას.

ამდენად, მომავალი ახალმშენებლობის ტერიტორია ერთგვარ სასაზღვრო ადგილს წარმოადგენს – თანამედროვე მაღალსართულიან განაშენიანებასა და ისტორიულ ორსართულიან აგურის სახლებს შორის და ობსერვატორიის დამცავი ზონის ფარგლებში განთავსებული საცხოვრებელი ერთსართულიანი ნაკლებადღირებული სახლის ახლით ჩანაცვლების დროს, აუცილებელია დაცული იქნეს ბალანსი, როგორც გაბარიტების განსაზღვრისას, ისე ახალი შენობის არქიტექტურულ-მხატვრული სახის გადაწყვეტის მხრივ. მიუხედავად იმისა, რომ ზონის რეჟიმი გარკვეულწილად უკვე დარღვეულია ზემოხსენებული მაღლივი კორპუსების არსებობით.

გამოყენებული ლიტერატურა და საარქივო მასალა:

1. ვ. ბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება. 1801-1917 წწ., ტ I-II, თბ., 1960-1962
2. თ. გერსამია, ძველი თბილისი, თბ., 1984
3. თ. კვირკველია, ძველთბილისური დასახელებანი, თბ., 1985
4. მ. მანია, თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორიის ევროპელი აღმშენებლები და მისი არქიტექტურის გენეტიკური საფუძველი, საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის კონფერენციის მასალები, 2001
5. თბილისი, ენციკლოპედია, თბ., 2002
6. საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში, თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმსა და საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული რუკები.

ხელოვნებათმცოდნე **მ. შავიშვილი**

07.06.08.

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1104571

ნომერი: AR1186631

თარიღი : 23.12.2013

გაცემის თარიღი : 31.01.2014

გაცნობის თარიღი : 04.02.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ხვამლი , N 8 (ნაკვეთის N 1/8);

თბილისი ს.ჩიქოვანის ქ. N 20 ბ. 104

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი აბაშიძე პ/ნ 01031003397

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექურის სამსახურის 27.03.2009 წ. #221 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

მოქალაქეებმა ირაკლი აბაშიძემ 23.12.2013 წ. #AR1186631 განცხადებით მომართა სამსახურს და მოითხოვა სამსახურის 27.03.2009 წ. #221 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა კერძოდ, საპროექტო ობიექტის შეცვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექურის სამსახურის მიერ 27.03.2009 წ. ქ. თბილისში, ხვამლის ქ. #8-ში არსებულ საკადასტრო ერთეულზე საოფისე შენობის აშენების მიზნით დამტკიცებული იქნა #221 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები.

განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 27.03.2009 წ. #221 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას საპროექტო ობიექტის ფუნქციის შეცვლასთან დაკავშირებით, კერძოდ: სასტუმროს დაფიქსირებას.

სამსახურის 27.03.2009 წ. #221 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები გაცემულია საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 2 (სსზ–2)–ის პარამეტრებით და პირობებით. დღევანდელი მდგომარეობით საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება იგივე ფუნქციური ზონა, სადაც "ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ "ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე სპეციალური ზონალური ნებართვით შესაძლებელია განმცხადებლების მიერ მოთხოვნილი ფუნქციის დაფიქსირება.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 27.03.2009 წ. #221 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: საპროექტო ობიექტის ფუნქცია დაფიქსირდეს – სასტუმრო;
2. ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 27.03.2009 წ. #221 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატოს ჩანაწერი – შენობა–ნაგებობის მიწისქვეშა სივრცე ათვისებულ იქნეს ავტოფარეხებით, შეიცვალოს ჩანაწერით: – საჭიროების შემთხვევაში შენობის მიწისქვეშა სივრცის გამოყენება მოხდეს საპროექტო ობიექტის ფუნქციის და ნაკვეთის შესაძლებლობის შესაბამისად;
3. ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 27.03.2009 წ. #221 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დამატებით დოკუმენტაციად დაემატოს: – საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ოქმი #02/08–317 (24.01.14.), ხოლო სხვა პირობები და მოთხოვნები მოთხოვნები დარჩეს უცვლელი;
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 27.03.2009 წ. #221 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC

ჯგუფი სოსიეტე ჟენერალი

258.13/14
27.12.13

ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურს

სს ბანკი „რესპუბლიკა" თანახმაა, რომ მოხდეს ქ. თბილისში, ხვამლის ქ. N8-ში (საკ. კოდი: N01.13.08.001.008) მდებარე შპს "ჯი-დი დეველოპმენტი"-ს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დემონტაჟი და ახალი მშენებლობის დაწყება.

პატივისცემით,

ია გაბუნია
კორპორაციული საბანკო
საქმიანობის სამსახურის
უფროსის მოადგილე

ს.ს. ბანკი „რესპუბლიკა"
გრ. აბაშიძის ქ. 2
თბილისი, 0179
საქართველო

ტელ.: (995 32) 292 55 55
ფაქსი: (995 32) 292 55 44
E-mail: info@republic.ge
www.republic.ge

საკადასტრო ნაკვეთის საზღვრები

საკადასტრო ნაკვეთის ფართობი

საკადასტრო ნაკვეთის ნომერი

საკადასტრო ნაკვეთის საზღვრის წერტილის ნომერი

საკადასტრო ნაკვეთის საზღვრის წერტილის კოორდინატები

საკადასტრო ნაკვეთის საზღვრის წერტილის სიზუსტე

საკადასტრო ნაკვეთის საზღვრის წერტილის განსაზღვრის მეთოდი

საკადასტრო ნაკვეთის საზღვრის წერტილის აღნიშვნის ნიშანი

საკადასტრო ნაკვეთის საზღვრის წერტილის აღნიშვნის ნიშნის ტიპი

საკადასტრო ნაკვეთის საზღვრის წერტილის აღნიშვნის ნიშნის მდგომარეობა

საკადასტრო ნაკვეთის საზღვრის წერტილის აღნიშვნის ნიშნის ფოტო

საკადასტრო ნაკვეთის საზღვრის წერტილის აღნიშვნის ნიშნის ფოტოს ნომერი